მალხაზ მაცაბერიძე*

საქართველო: ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ორი წელი - პრობლემები და გამოწვევები

შესავალი

ვიზალიბერალიზაციის შესაძლო შეჩერების საკითხი საქართველოში პერიოდულად ხდება აქტიური განხილვისა და პოლიტიკური დაპირისპირების საგანი. ეს ხდება მაშინ, როდესაც ევროკავშირი ან მისი რომელიმე წევრი ქვეყანა უკმაყოფილებას გამოთქვამს საქართველოს მოქალაქეების მიერ ვიზალიბერალიზაციის პირობების დარღვევის გამო. ბოლო ასეთი პერიოდი 2019 წლის აპრილ-მაისზე მოდიოდა, შემდეგ კი აღნიშნული თემა ფაქტობრივად გაქრა მას-მედიაში განხილულ საკითხთა სიიდან. წინამდებარე სტატია ძირითადად ამ პერიოდის მასალების განხილვას ემყარება.

ვიზალიბერალიზაცია ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს მოქალაქეებისთვის 2017 წლის 28 მარტიდან ამოქმედდა (საუბარია შენგენის ზონის ქვეყნებში მოკლევადიან, - 90 დღიან - ტურისტულ, საქმიან და სტუმრის სტატუსით ვიზიტებზე). ეს არა მხოლოდ აადვილებდა საქართველოს მოქალაქეებისათვის შენგენის ზონის ქვეყნებში გადაადგილებას, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვაც ქონდა. საქართველოს მოქალაქეებისთვის ეს იყო ევროკავშირთან დაახლოების პოლიტიკის კონკრეტული, ყვე-

---

* პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ლასთვის თვალსაჩინო შედეგი. მძიმე დარტყმა იყო პრორუსულ ძალებზე, რადგანაც რუსეთი დღემდე ინარჩუნებს სავიზო რეჟიმს საქართველოსთან. საქართველოში გაიზარდა ევროკავშირის მხარდამჭერთა რიცხვი. ხელისუფლების წსარმომადგენლები კი ვიზალიბერალიზაციას აცხადებენ მნიშვნელოვან ნაბიჯად საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე (ეკა ქევანიშვილი ეკა, 25.04.2019).

განვლილ პერიოდში საქართველოს მრავალმა მოქალაქემ ისარგებლა ვიზალიბერალიზაციით. ერთი წლის განმავლობაში 2018 წლის 28 მარტამდე შენგენის ზონის საზღვარი საქართველოს 192 453-მა მოქალაქემ 258 663-ჯერ გადაკვეთა, სხვადასხვა მიზეზით უარი საზღვრის კვეთაზე საქართველოს 1101 მოქალაქეს უთხრეს, რაც საერთო რაოდენობის 0,6%-ია (წულაძე ზაზა ,27.03.2018) .

დიდმა ნაწილმა დაიცვა დაწესებული პირობები. საქართველოდან ევროკავშირში შესული ყოველი 16 მოქალაქიდან საქართველოში არ დაბრუნებულა ამასთან არდაბრუნებულებში შედიან ისინიც, ვინც მოიპოვა ევროკავშირის ქვეყნებში ცხოვრების უფლება (ე.წ. residence permit) ან ორმაგი მოქალაქეობა აქვთ; ევროკავშირის ქვეყანაში უვიზოდ ჩასვლის შემდეგ მოიპოვეს ამ ქვეყანაში უფრო მეტი ხნით დარჩენის უფლება (მაგ. სტუდენტები, თავშესაფრის მაძიებლები); ევროკავშირის ქვეყნებიდან გადავიდნენ მესამე ქვეყანაში (მაგ. უკრაინაში, ბელორუსში) და საქართველოში არ დაბრუნებულან ამ ქვეყნებიდან (დევიძე გვანცა, 14.11.2017).

თუმცა უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ წარმოიშვა სერიოზული პრობლემებიც, რაც მოსალოდნელი იყო, - გაიზარდა თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა, არალეგალურად მომუშავე მიგრანტთა რიცხვი და საქართველოს მოქალაქეების მიერ ჩადენილი კრიმინალი.

უკმაყოფილება გამოითქვა ევროკავშირის რიგი ქვეყნების მხრიდანაც. შედეგად საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის შენარჩუნების საკითხი

სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა. მით უმეტეს, რომ პროგნოზის თანახმად, ევროკავშირი მომავალში კიდევ უფრო გაამკაცრებს დამოკიდებულებას მიგრანტების მიმართ და ეს საქართველოს მოქალაქეებსაც შეეხებათ (მჭედლიშვილი მარიამ, 27-28.04.2019, გვ.5). ევროკავშირში ახლა დახურული საზღვრების, კონსოლიდაციისა და თვითგამორკვევის ეტაპი დგას. ასე იქნება უახლოეს მომავალშიც. როგორც აღინიშნება, მოცემულ ეტაპზე საქართველოს უვიზო რეჟიმის შეჩერება არ ემუქრება, თუმცა საჭიროა რიგი ზომების მიღება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის ზრდა

ვიზალიბერალიზაციას საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა მოჰყვა. 2018 წელს თავშესაფრის მინიჭების თხოვნით ევროკავშირის ქვეყნებს საქართველოს 17 980-მა მოქალაქემ მიმართა (ჩიჩუა ნინო (26.04.2019). განსაკუთრებით დიდი ზრდა იყო საფრანგეთში, გერმანიასა და ესპანეთში.

საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებში

ქვეყანა	2017 წ. იანვარი	2018 წ. იანვარი	2019 წ. იანვარი
საფრანგეთი	85	465	920
გერმანია	225	755	550
ესპანეთი	0	30	215
სულ ევროკავშირი	720	1950	2210

წყარო - ევროსტატი

2019 წლის თებერვალში საქართველო იმ 10 ქვეყანას შორის იყო, რომელთა მოქალაქეებიც ევროპაში ყველაზე ხშირად ითხოვ-

დნენ თავშესაფარს (ათეულში ასევე შედიოდნენ ერაყი, ნიგერია, პაკისტანი, ვენესუელა, ალბანეთი, კოლუმბია). ამასთან, საქართველო, მოლდოვასა და ჩრდილოეთ მაკედონიასთან, ერთად იმ ქვეყნების ჩამონათვალშია, რომლის მოქალაქეებიც ყველაზე ნაკლებად იღებენ თავშესაფარს (3%) (ჩიჩუა ნინო, 26.04.2019).

თავშესაფარზე უარის თქმის მიზეზი ისაა, რომ საქართველო ევროკავშირის მრავალი ქვეყნის მიერ უსაფრთხო ქვეყნად არის მიჩნეული. თუმცა, განცხადებების განხილვას დრო სჭირდება, მანამდე კი ევროკავშირის ქვეყნებს უწევთ ჩასულების დაბინავება და სოციალური დახმარების მიცემა, სამედიცინო უზრუნველყოფა. ხშირად ესაა მიზეზი, რისთვისაც ზოგიერთი საქართველოს მოქალაქე მიდის ევროპაში - მაქსიმალურად დიდხანს დარჩნენ და სოციალური დახმარება მიიღონ. ეს ევროპის ქვეყნებისათვის გარკვეულწილად

იმ ქვეყნებში, მაგალითად შვეიცარიაში, სადაც თავშესაფრის გაცემის პროცედურები დროში შეამოკლეს, მკვეთრად შემცირდა თავშესაფრის უსაფუძვლო მთხოვნელთა რიცხვიც. სამაგიეროდ საფრანგეთში, სადაც საშუალოდ 6 თვეს და ზოგჯერ უფრო მეტ დროსაც ანდომებდნენ საკითხის პირველ და მეორე ინსტანციებში განხილვას, დიდია თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვიც. პროცედურების ხანგრძ

ლივობის შემცირება შეამცირებს თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობასაც (კითხვა ექსპერტებს,11.06.2019).

გარკვეული ზომების გატარებას გეგმავს საქართველოს ხელისუფლებაც, რაც ევროკავშირს აჩვენებს, რომ საქართველო პრობლემას სერიოზულად. ესაა:

- უვიზო მიმოსვლით სარგებლობის წესების შესახებ საინფორმაციო კამპანიები; ხშირ შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებლები მიდიან არასწორი ინფორმაციით. ისინი შეცდომაში არიან შეყვანილნი სხვადასხვა შუამავლების მხრიდან, მათ სთავაზობენ, რომ

დაეხმარებიან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შესვლაში, დასაქმებაში, თავშესაფრის მიღებაში და ასე შემდეგ.

- საქართველოდან გამგზავრებამდე, საზღვარის კვეთისას მოქალაქეთა შემოწმება;

- დამრღვევების მიმართ ჯარიმების დაკისრება, ყველა დამრღვევს, ვინც ევროპაში ყოფნის 90-დღიან ვადას გადააცილებს, დაბრუნების, ანუ რეადმისიის ხარჯების გადახდა თავად მოუწევს (ჯანელიძე მიხეილ,10.02.2018).

- მიგრაციის ხელშეწყობის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრება და შესაბამისი ცვლილებების შეტანა სისხლის სამართლის კოდექსში (შუკვანი თამარ, 4.04, 2019, გვ). ევროპის ქვეყნებში თავშესაფრის მიღების უფლების ბოროტად გამოყენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა ან ხელის შეწყობა დასჯადი გახდება. პასუხისგებაში მიეცემიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს მოქალაქეებს, უკანონოდ გადაკვეთონ საქართველოს საზღვარი. პარალელურად, საქართველოს შსს ზრდის პოლიციის ატაშეების რაოდენობას შენგენის ქვეყნებში(წულაძე ზაზა , 27.03.2018).

თავშესაფრის მაძიებელნი საქართველოდან დისკრიმინაციის მსხვერპლი არ არიან. მათი ქვეყნიდან წასვლის მიზეზი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა. ამიტომ მთავარი რაც ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. ეს კი ადვილი საქმე არაა. ოპოზიციის წარმომადგენელთა აზრით, თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობა იქამდე არ შემცირდება, სანამ საქართველოში ეკონომიკური ვითარება არ გამოსწორდება, ხალხი არ დასაქმდება და სოციალური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება (წულაძე ზაზა , 27.03.2018).

საქართველოში სამუშაო ადგილები არაა და ევროპაში მყოფი არალეგალი მიგრანტების გამოყრა, ან მათთვის საქართველოს მთავრობის მხრიდან უბრალო მოწოდებები სახლში დაბრუნდითო,

შესრულების შემთხვევაში კატასტროფული შედეგების მომტანი იქ-ნება, - ისინიც უმუშევარი დარჩებიან და ის ადამიანებიც უსახსროდ აღმოჩნდებიან, ვისაც მიგრანტები ინახავენ (შუკვანი თამარ, 6.04.2019, გვ.2).

ევროპის ქვეყნებიდან გამოშვებული მიგრანტები სამუშაოს შოვნას, სავარაუდოდ, ვერც თურქეთში მოახერხებენ და ვერც რუ-სეთში ან უკრაინაში. ამ ქვეყნებში, სადაც ისედაც ბევრი შრომითი მიგრანტი იმყოფება საქართველოდან, მათ მიმართ დამოკიდებუ-ლება ასევე მკაცრდება (ჩიტაია მარი, 16.04.2019, გვ.5). მიგრანტებს რჩევასაც აძლევენ - დაბრუნდნენ საქართველოში და მათ მიერ და-ზოგილი ფულით ადგილობრივ ბიზნესი წამოიწყონ (ჩიტაია მარი, 16.04.2019, გვ.5), რაც, რასაკვირველია, ადვილი საქმე არ არის.

რადგანაც თავშესაფრის მაძიებელთა ძირითადი რაოდენობა შრომითი მიგრანტებია, ამიტომ გარკვეული გამოსავალია მათთვის უცხოეთში ლეგალური დასაქმების შესაძლებლობის პოვნა. ევრო-კავშირის რამდენიმე ქვეყანასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა საქართველოს მოქალაქეებს ლეგალური დასაქმების უფლება მიეცეთ. საქართველოს მთავრობისაგან ოპოზიცია მოითხოვს, რომ საერთაშორისო პარტნიორებთან მიაღწიოს შეთანხმებას და საქარ-თველოს მოქალაქეებს ჰქონდეთ ევროპაში წასვლის და მუშაობის ლეგალური უფლება (ქევანიშვილი ეკა, 25.04.2019).

კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა

ევროკავშირის რიგ ქვეყნებში გაიზარდა ქართველი კრიმინა-ლების ჩადენილი დანაშაული. ასეთი ეპიზოდები იყო გერმანიაში, ავსტრიაში, ესპანეთში, იტალიაში, გერმანიაში. ვიზალიბერალიზა-ციის გადახედვის ინიციატორი ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინის-ტროები პროცესში მთავარ არგუმენტად ქართული კრიმინალური ჯგუფების საქმიანობას ასახელებდენ (გრიგალაშვილი მარიამ, სარ-ჯველაძე მიხეილ, 2018). ამდენად მნიშვნელოვანია მუშაობის გაგრ-

ძელება ევროპელ პარტნიორებთან, მათ შორის კრიმინალის წინააღმდეგ ერთობლივი ღონისძიებების გასატარებლად.

საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის შეფასებით, მთლიანობაში, კრიმინალები საქართველოდან არ ქმნიან დიდ საფრთხეს ევროკავშირისთვის (ოსმანოვა თიკო, 29 .04 - 5.05. 2019, გვ.27).. თუმცა ასე არ ფიქრობენ ევროკავშირში. ევროკომისარი დიმიტრის ავრამოპულოსის განცხადებით, შეჩერების მექანიზმის გამოყენება ორგანიზებულ დანაშაულთან ეფექტურ ბრძოლაზე იქნება დამოკიდებული (პაპოშვილი ელზა, 10.04.2019, გვ.1). მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლება თანამშრომლობს ევროკავშირთან.

2015 წელს, გერმანიაში მთლიანად – ყველა სახის დანაშაულზე დაკავებული 911 864 უცხოელი ეჭვმიტანილიდან საქართველოს მოქალაქე მხოლოდ 0.9% იყო. ამ მაჩვენებლით საქართველო უცხოელ ეჭვმიტანილთა სიაში 24-ე ადგილს იკავებდა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის შეფასებით, 2015 წელს ქართველი კრიმინალების მიერ ბინების ქურდობით გამოწვეული ზარალი 500 მილიონ ევროს შეადგენდა. გერმანიაში მიმდინარე შიდა საუბრების დროს მთავარი არგუმენტი სწორედ აღნიშნული დინამიკა იყო – რომ საქართველოს მოქალაქეები დიდი რაოდენობით დანაშაულს კი არ ჩადიოდნენ, არამედ ამ დანაშაულით გამოწვეული ზარალი იყო დიდი (გრიგალაშვილი მარიამ, სარჯველაძე მიხეილ, 2018).

იუსტიციის სამინისტრომ საქართველოში გვარის შეცვლის პროცედურა გაართულა. როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთი საქართველოს მოქალაქე ერთი გვარით ჩადიოდა დანაშაულს ევროკავშირის ტერიტორიაზე, შემდეგ ბრუნდებოდა საქართველოში, იცვლიდა გვარს და ახალი ვინაობით მიემგზავრებოდა კვლავ შენგენის ზონაში, იქ საიდანაც გამოაძევეს, ან სადაც შესვლა აკრძალული ქონდა. 2017 წელს საქართველოში გვარი 8 339-მა პირმა შეიცვალა, აქედან

59-მა გვარი ორჯერ გამოიცვალა, ხოლო ერთმა მოქალაქემ კი 4-ჯერ (წულაძე ზაზა, 27.03.2018).

უვიზო რეჟიმის შესაძლო გაუქმების პოლიტიკური ასპექტები

ბოლო ორი წლის განმავლობაში არაერთხელ გაჟღერდა ევროპელი პარტნიორების გაფრთხილებები ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმის შესაძლო ამოქმედების შესახებ. საქართველოში იმედოვნებენ, რომ ევროკავშირის ქვეყნები ვიზალიბერალიზაციის საკითხს მხოლოდ ტექნიკური კუთხით არ შეხედავენ და პოლიტიკურ ჭრილში განიხილავენ.

ვიზალიბერალიზაციის შეჩერების საფრთხესთან დაკავშირებით დასავლეთზე ორიენტირებული პოლიტიკური ოპოზიცია მმართველ „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებს არაეფექტური პოლიტიკის გატარებაში, რის გამოც საქართველო დგება აღნიშნული საფრთხის წინაშე და მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა მიაჩნია გამოსავლად.

პრორუსული ძალები, სანამ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მიცემის საკითხი განიხილებოდა, ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს მას ვერასოდეს მიიღებდა, დღეს ევროკავშირს და საქართველოს ხელისუფლებას აკრიტიკებენ მიგრანტებისთვის შექმნილი პრობლემების გამო, ვიზალიბერალიზაციის შეჩერების შემთხვევაში კი ისინი კიდევ უფრო გააძლიერებენ ანტიდასავლურ კამპანიას.

უვიზო მიმოსვლა არაა ერთადერთი, რითაც ევროკავშირი საქართველოს უჭერს მხარს, მაგრამ უვიზო რეჟიმის შეჩერება აღქმული იქნება როგორც საქართველოს რუსეთის პირისპირ დატოვება. ეს პრორუსულ ძალებს მისცემს კარგ საბაბს პროპაგანდისთვის, რომ ევროპამ საქართველო მიატოვა. ვიზალიბერალიზაციის შეჩერება

იქნება დიდი დარტყმა საქართველოს ევროპულ პერსპექტივასა და ინტეგრაციისთვის (ოსმანოვა თიკო, 29 .04 - 5.05. 2019, გვ.27).

საქართველოს მიმართ ევროსტრუქტურები მეტ-ნაკლებად შემწყნარებლები არიან გეოპოლიტიკური ასპექტებიდან გამომდინარე. ევროპას არ უნდა, რომ საქართველო, ისევე როგორც „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სხვა ქვეყნები იყოს რუსული აგრესიისა და გავლენის ობიექტი (მჭედლიშვილი მარიამ, 27-28.04.2019, გვ.5).

დასკვნა

უვიზო რეჟიმის არაკეთილსინდისიერად გამოყენება საქართველოს მოქალაქეთა ნაწილის მიერ ჯერჯერობით არ წარმოადგენს „საგანგებო მდგომარეობას“ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, როგორც ეს შეჩერების მექანიზმის პირობებითაა განსაზღვრული.

ამ ეტაპზე შენგენის ზონაში საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის საკითხი პირდაპირი საფრთხის წინაშე არ დგას, რაც ძირითადად რეადმისიის/დაბრუნების მაღალი მაჩვენებლითა და დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებებში თანამშრომლობით არის გამოწვეული. თუკი საქართველოს ხელისუფლება გაატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს და შეამცირებს როგორც თავშესაფრის მაძიებლებს, ისე საქართველოს მოქალაქეთა მიერ ჩადენილ კრიმინალს ევროკავშირის ქვეყნებში, საქართველო შეძლებს ვიზალიბერალიზაციის შენარჩუნებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ქევანიშვილი ეკა (25.04.2019). უვიზო რეჟიმის გაუქმების საფრთხე - რას ამბობენ პოლიტიკოსები? - https://www.radiotavisupleba.ge

წულაძე ზაზა (27.03.2018) უვიზო რეჟიმის გამოწვევა იუბილეზე: თავშესაფრის მაძიებლები და კრიმინალი -

https://www.amerikiskhma.com/a/georgians-visit-schengen-zone-258000-times-since-visa-free-agreement/4319611.html

დევიძე გვანცა (14.11.2017). 3 ტყუილი უვიზო მიმოსვლის შესახებ http://www.mythdetector.ge/ka/myth/3-tquili-uvizo-mimosvlis-shesakheb

მჭედლიშვილი მარიამ (27-28.04.2019). ევროპაში მიგრანტების მიმართ დამოკიდებულება გამკაცრდება? – „ახალი თაობა“, N 99, გვ.5

ჩიჩუა ნინო (26.04.2019). იანვარში გაორმაგდა საფრანგეთში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა – რა ელის უვიზო რეჟიმს? - https://netgazeti.ge/news/359752/

ოსმანოვა თიკო (29 .04 - 5.05. 2019). ევროპაში ქართველი ემიგრანტების რაოდენობა 100%-ით არის გაზრდილი - „კვირის პალიტრა“, გვ.27

კითხვა ექსპერტებს (11.06.2019): ემუქრება კი საქართველოს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შეჩერება?- https://civil.ge/ka/archives/308023

ჯანელიძე მიხეილ (10.02.2018). "დღეს არ არის მოცემულობა, რომ შეჩერების მექანიზმი ამუშავდეს" - https://imedinews.ge/ge/interview/159/dges-ar-aris-motsemuloba-rom-shecherebis-meqanizmi-amushavdes

შუკვანი თამარ (4.04, 2019). უვიზო რეჟიმს, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს - „რეზონანსი“ , N64, გვ.1

შუკვანი თამარ (6.04.2019). თუკი ევროპიდან ყველა არალეგალი საქართველოში დაბრუნდა, ეს სამოქალაქო ომის ტოლფასი კატასტროფა იქნება - „რეზონანსი“ , N66, გვ.2

ჩიტაია მარი (16.04.2019). ქართველ მიგრანტებს უკვე აღარსად დაედგომებათ - „რეზონანსი“ , გვ.5

პაპოშვილი ელზა (10.042019). ევროპა კრიმინალთან ბრძოლის გაძლიერებას მოითხოვს, თუ არადა, უვიზო მიმოსვლის გაუქმებით იმუქრება - „რეზონანსი“,N 69, გვ.1

გრიგალაშვილი მარიამ, სარჯველაძე მიხეილ (2018). საქართველოს ვიზალიბერალიზაციის გამოწვევები: პოლიტიკური კონტექსტი და სტატისტიკა. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2018-Visaliberalisation Geo_Mtliani.pdf

Malkhaz Matsaberidze

Georgia: Two Years of the Visa-Free Regime with the EU: Problems and Challenges

Abstract

The paper analyses various problems related to Georgia's visa liberalization with the EU on the basis of press materials. It discusses the issues of rise of the number of illegal migrants and asylum seekers from Georgia into the EU and their criminal activities conducted in various European countries. These problems might lead to the suspension of the visa free regime, therefore the government of Georgia undertakes some measures to minimize these negative incidents. The visa liberalization is considered as a serious step ahead on the way of rapprochement between Georgia and the EU. Besides, visa liberalization has important political dimension as well: its possible suspension or total abolition will bring devastating blow to the pro-Western orientation of Georgia and will reinforce the pro-Russian forces in the country.

Key words: Georgia, EU, visa liberalization, migration.